

LINGUISTIC ETHICS AND POLITENESS STRATEGIES IN 19TH-CENTURY GEORGIAN LITERARY LANGUAGE¹

ენობრივი ეთიკა და თავაზიანობის სტრატეგიები XIX საუკუნის ქართულ
სალიტერატურო ენაში²

Tamar Ninidze

PhD in Philology,

Assistant-professor of Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Tamar Mepe St. 59, 4600, Georgia,

+995595097805, tamar.ninidze@atsu.edu.ge

<https://orcid.org/0009-0008-6217-5419>

Abstract. The paper investigates linguistic ethics and politeness strategies in 19th-century Georgian literary language. The aim of the study is to identify and analyze the linguistic means that reflect communicative behaviour, social relations, and culturally determined norms of etiquette. The relevance of the topic is обусловлена the fact that, despite the historical development of the Georgian language, politeness strategies have not yet been sufficiently studied from pragmatic and ethical perspectives, whereas linguistic etiquette represents an important aspect of the relationship between language and culture.

The research is based on a historical-pragmatic and text-based approach. The empirical material consists of samples of 19th-century Georgian prose (A. Orbeliani, G. Rcheulishvili, L. Ardaziani), which reflect linguistic behaviour characteristic of different social statuses and communicative situations. The analysis of the material revealed several functional groups of linguistic forms: euphemistic verbs, etiquette forms of address, oath and blessing formulas, as well as syntactic euphemisms. These units demonstrate that politeness strategies in Georgian are realized on different linguistic levels and are closely connected with the system of social hierarchy, cultural values, and ethical norms.

The novelty of the research lies in the fact that linguistic etiquette is examined not only at the descriptive level, but also from the perspective of its functional and pragmatic significance. The paper proposes a systematic classification of linguistic units expressing politeness, which makes it possible to outline the specific features of the historical development of linguistic ethics. The findings confirm that linguistic etiquette represents a culturally determined communicative practice that plays an important role in regulating social relations and reflects the value system of society.

Keywords: linguistic ethics; linguistic etiquette; politeness strategies; euphemism; communicative behavior; forms of address; language and culture; 19th-century Georgian language.

¹ This research № YS - 25 - 303 has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)

² კვლევა № YS - 25 - 303 განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

ნაშრომი წარდგენილია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაარსებიდან 85 წლისთავისადმი მიძღვნილ მულტიდისციპლინურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „მეცნიერება დროსა და საზღვრებს გარეშე: გამოწვევები და პერსპექტივები“ - 2026 წ.

თამარ ნინიძე

ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, 4600, თამარ მეფის 59, საქართველო,
+995595097805, tamar.ninidze@atsu.edu.ge
<https://orcid.org/0009-0008-6217-5419>

აბსტრაქტი. ნაშრომი ეძღვნება ენობრივი ეთიკისა და თავაზიანობის სტრატეგიების გამოვლენას XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო ენაში. კვლევის მიზანია იმ ლინგვისტური საშუალებების იდენტიფიცირება და ანალიზი, რომლებიც ასახავს კომუნიკაციურ ქცევას, სოციალურ ურთიერთობებსა და კულტურულად განპირობებულ ეტიკეტურ ნორმებს. საკითხის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ ქართული ენის ისტორიული განვითარების გათვალისწინებით თავაზიანობის სტრატეგიები ჯერ კიდევ არასაკმარისად არის შესწავლილი პრაგმატიკული და ეთიკური თვალსაზრისით, მაშინ როდესაც ენობრივი ეტიკეტი წარმოადგენს ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების მნიშვნელოვან ასპექტს.

კვლევა ეფუძნება ისტორიულ-პრაგმატიკულ და ტექსტზე დაფუძნებულ მეთოდს. ემპირიულ მასალად გამოყენებულია XIX საუკუნის ქართული პროზის ნიმუშები (ა. ორბელიანი, გ. რჩეულიშვილი, ლ. არდაზიანი), რომლებშიც ასახულია სხვადასხვა სოციალური სტატუსისა და კომუნიკაციური სიტუაციისათვის დამახასიათებელი ენობრივი ქცევა. მასალის ანალიზის შედეგად გამოვლინდა ენობრივი ფორმების რამდენიმე ფუნქციური ჯგუფი: ევფემისტური ზმნები, მიმართვის ეტიკეტური ფორმები, ფიცილისა და დალოცვის ფორმულები, აგრეთვე სინტაქსური ევფემიზმები. აღნიშნული ერთეულები აჩვენებს, რომ თავაზიანობის სტრატეგიები ქართულში რეალიზდება სხვადასხვა ლინგვისტურ დონეზე და მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალური იერარქიის, კულტურული ღირებულებებისა და ეთიკური ნორმების სისტემასთან.

კვლევის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ენობრივი ეტიკეტი განხილულია არა მხოლოდ ფორმათა აღწერის დონეზე, არამედ მათი ფუნქციური და პრაგმატიკული მნიშვნელობის გათვალისწინებით. ნაშრომში წარმოდგენილია თავაზიანობის გამომხატველი ენობრივი ერთეულების სისტემური კლასიფიკაცია, რაც საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს ენობრივი ეთიკის ისტორიული განვითარების თავისებურებები. მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ ენობრივი ეტიკეტი წარმოადგენს კულტურულად განპირობებულ კომუნიკაციურ პრაქტიკას, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური ურთიერთობების რეგულირებაში და ასახავს საზოგადოების ღირებულებით სისტემას.

საკვანძო სიტყვები: ენობრივი ეთიკა; ენობრივი ეტიკეტი; თავაზიანობის სტრატეგიები; ევფემიზმი; კომუნიკაციური ქცევა; მიმართვის ფორმები; ენა და კულტურა; XIX საუკუნის ქართული ენა.

შესავალი. ენა და კულტურა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთგანმსაზღვრელი ცნებებია. ენა არა მხოლოდ ადამიანთა კომუნიკაციის საშუალებაა, არამედ კულტურული გამოცდილების, ტრადიციების, ღირებულებებისა და მსოფლმხედველობის მატარებელიც. საზოგადოების ისტორიული გამოცდილება, სოციალური ურთიერთობები და კულტურული ნორმები სწორედ ენის მეშვეობით ინახება და გადაეცემა მომავალ თაობებს. ადამიანთა შორის ურთიერთობის პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ენობრივი ეთიკა – იმ ნორმათა და სტრატეგიათა სისტემა, რომლის მეშვეობითაც მეტყველება ადაპტირდება სოციალური სტატუსის, ასაკის, სიტუაციისა და კულტურული კონტექსტის შესაბამისად. ენობრივი ეტიკეტი, თავაზიანობის ფორმები და ევფემიზაცია ქმნის იმ პრაგმატიკულ სივრცეს, რომელშიც ენა ასახავს საზოგადოებაში არსებულ იერარქიულ და კულტურულ ურთიერთობებს.

ენის გამოყენება ყოველთვის დაკავშირებულია ეთიკურ ნორმებთან. ენობრივი ეთიკა გულისხმობს იმ წესებისა და პრინციპების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ადამიანი ენა საზოგადოებაში.

ენობრივი ეთიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანია კომუნიკაციის პროცესში ურთიერთპატივისცემის, კორექტულობისა და ტაქტის დაცვა. სწორედ ამიტომ ენობრივი კულტურა მოიცავს არა მხოლოდ გრამატიკულად სწორ მეტყველებას, არამედ თავაზიანობას, ტაქტსა და კომუნიკაციურ პასუხისმგებლობას.

ქართულ კულტურულ სივრცეში ენობრივი ეტიკეტი ისტორიულად მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოციალური ურთიერთობების ტრადიციულ სისტემასთან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უფროსისადმი პატივისცემის გამოხატვას, სამეფო და სასულიერო იერარქიის მიმართ დამკვიდრებულ ეტიკეტურ ფორმებს, აგრეთვე ურთიერთობის რიტუალიზებულ ფორმებს ყოველდღიურ კომუნიკაციაში. XIX საუკუნის ქართული სალიტერატურო ენა ამ თვალსაზრისით საინტერესო ეტაპია, რადგან სწორედ ამ პერიოდში მკაფიოდ იკვეთება როგორც ტრადიციული ეტიკეტური ფორმები, ისე მათი გარდაქმნისა და ახლის დამკვიდრების პროცესიც.

კვლევის მიზანია გამოვავლინოთ, როგორ აისახება ენობრივი ეთიკისა და თავაზიანობის სტრატეგიები XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო ტექსტებში და როგორია მათი ლექსიკური და პრაგმატიკული რეალიზაცია.

ენობრივი ეთიკის მნიშვნელოვანი ასპექტია თავაზიანობის პრინციპი. ამ საკითხზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ინგლისელი ენათმეცნიერი ჯეფრი ლიჩი. მისი აზრით, კომუნიკაციაში მოქმედებს თავაზიანობის პრინციპი, რომლის მიზანია თანამოსაუბრისადმი პატივისცემის გამოხატვა და კომუნიკაციის ჰარმონიული გარემოს შექმნა (ლიჩი, 2014: 7-9).

თავაზიანობის თეორია დეტალურად არის განვითარებული პენელოპა ბრაუნისა და სტეფან ლევენსონის ნაშრომში. მათი აზრით, ადამიანები კომუნიკაციის პროცესში იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიას იმისათვის, რომ დაიცვან თანამოსაუბრის სოციალური სტატუსი და თავიდან აიცილონ კომუნიკაციური კონფლიქტი. ავტორთა აზრით, თავაზიანობის სტრატეგიები დაკავშირებულია „სახის“ (face) დაცვასთან, რაც კომუნიკაციის დროს პიროვნების სოციალური ღირსების შენარჩუნებას გულისხმობს (ბრაუნი და ლევენსონი 1987). ჯ. ლიჩი კი თავაზიანობას განიხილავს როგორც პრაგმატიკულ პრინციპს, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური ჰარმონიის შენარჩუნებას (ლიჩი, 2014).

ენობრივი ეთიკის საკითხები ქართულ ენათმეცნიერებაში არაერთ მკვლევარს განუხილავს. ენისა და კულტურის ურთიერთობის პრობლემას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ბ. ჯორბენაძემ, რომელმაც აჩვენა, რომ მეტყველების ეთიკური ნორმები კულტურული ტრადიციის განუყოფელი ნაწილია (ჯორბენაძე, 1997). ევფემიზმისა და ტაბუს ურთიერთმიმართების საკითხს შეეხო კ. კორჯანელი (1997), თავაზიანობის გამოხატვის ფორმები გააანალიზა ზ. კიკვიძემ, რომელმაც გამოყო თავაზიანობის ლექსიკური და გრამატიკული საშუალებები (კიკვიძე, 1999). რ.

ზექალაშვილმა მონოგრაფიულად შეისწავლა ქართული დიალოგური მეტყველების თავისებურებანი და მიუთითა, რომ დიალოგური მეტყველება დაკავშირებულია კომუნიკაციის პირობებთან, მეტყველების მონაწილეთა ურთიერთობასა და სიტუაციურ გარემოსთან (ზექალაშვილი, 2012: 14–18). ევფემიზაციის საკითხებს V-XVIII საუკუნეთა ქართულ სალიტერატურო ენაში ეძღვნება ჩვენი მონოგრაფია (ნინიძე, 2021).

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია XIX საუკუნის ქართულ პროზაულ ტექსტებზე დაკვირვების შედეგად მოპოვებული ეტიკეტური ფორმების ანალიზი, რომლის საფუძველზეც გამოვლენილია ენობრივი ეთიკის ძირითადი სტრატეგიები. კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ქართული ენის ისტორიულ პრაგმატიკასთან დაკავშირებული საკითხების უკეთ გააზრებასა და ენობრივი ეტიკეტის მიმართულებით კვლევების გაღრმავებას.

მეთოდები. კვლევა ეფუძნება დიაქრონიული ლინგვისტიკის, ტექსტური ანალიზისა და პრაგმატიკის მეთოდების ერთობლიობას. კვლევის მიზნიდან გამომდინარე გამოყენებულია როგორც ტრადიციული ფილოლოგიური, ისე თანამედროვე სოციოლინგვისტური და პრაგმატიკული მიდგომები. აღნიშნული მეთოდების კომბინაცია საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, ისტორიულ ტექსტებში გამოვავლინოთ ენობრივი ეტიკეტის ფორმები, ხოლო მეორე მხრივ – განვსაზღვროთ მათი კომუნიკაციური და სოციალური ფუნქციები.

კვლევის ემპირიულ საფუძველს წარმოადგენს XIX საუკუნის ქართული პროზაული ტექსტები. მასალა შერჩეულია ეპოქისა და ავტორების (ალექსანდრე ორბელიანი, გრიგოლ რჩეულიშვილი, ლავრენტი არდაზიანი) მიხედვით. მათ ნაწარმოებებში ფართოდ არის წარმოდგენილი დიალოგური მეტყველება და სოციალური ურთიერთობების მრავალფეროვანი სპექტრი, რაც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ ენობრივი ეტიკეტის ბუნებრივ რეალიზაციას ჩვენთვის საინტერესო პერიოდში. საანალიზო ტექსტებში მკაფიოდ აისახება იმდროინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობები, სოციალური იერარქია და კომუნიკაციის ეტიკეტური ნორმები.

ტექსტები დამოწმებულია როგორც ბეჭდური გამოცემიდან (ქართული პროზა, ტომი VII, 1984, თბილისი: საბჭოთა საქართველო), ასევე ციფრული რესურსებიდან (მაგ., ქართული ვიკიწყარო). შერჩეული მასალა მოიცავს ძირითადად დიალოგურ ფრაგმენტებს, სადაც მეტყველების ეტიკეტური ფორმები ყველაზე ნათლად ვლინდება. მასალის შერჩევა განხორციელდა რამდენიმე კრიტერიუმის საფუძველზე:

ტექსტი უნდა ეკუთვნოდეს XIX საუკუნეს;

ტექსტში უნდა იყოს წარმოდგენილი დიალოგური კომუნიკაცია;

მაგალითები უნდა შეიცავდეს ენობრივი ეტიკეტის ან თავაზიანობის გამომხატველ ფორმებს;

მაგალითები უნდა ასახავდეს სხვადასხვა სოციალურ ურთიერთობას (ხელმწიფე – ქვეშევრდომი, უფროსი – უმცროსი, ბატონი – მოსამსახურე და სხვ.).

ამ პრინციპების საფუძველზე ამოწერილი მაგალითები კლასიფიცირდა თავაზიანობის სტრატეგიების მიხედვით.

კვლევის პროცესში გამოყენებულია რამდენიმე ურთიერთდამხმარე მეთოდი:

კონტექსტური ანალიზი

პირველ ეტაპზე განხორციელდა ენობრივი ეთიკის გამომხატველი ფორმების იდენტიფიცირება. თითოეული მაგალითი გაანალიზდა მისი კონტექსტის გათვალისწინებით, რადგან თავაზიანობის ფორმების ფუნქცია ხშირად დამოკიდებულია კონკრეტულ კომუნიკაციურ სიტუაციაზე.

კონტექსტური ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტორიული ტექსტების შემთხვევაში, რადგან სიტყვებისა და გამონათქვამების მნიშვნელობა ხშირად განისაზღვრება იმდროინდელი კულტურული და სოციალური ნორმებით.

ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი

შემდგომ ეტაპზე გამოვლინდა თავაზიანობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები და მათი სემანტიკური ფუნქციები. ამ პროცესში ყურადღება დაეთმო შემდეგ ტიპის ერთეულებს:

ევფემისტური (პატივისცემის გამომხატველი) ზმნები (ბრძანება, მოხსენება, ხლება...);

ეტიკეტური მიმართვები (თქვენო დიდებულება, ქალბატონო, ბატონიშვილო...);

დალოცვის ფორმულები (შენმა გაზრდამა, ღმერთმა გადღეგრძელოს, შენი ჭირიმე/შეინჭიმე...);

ფიცილის ფორმულები (შენი სულისა, შენი კოკობის სულის მზემა, მამიჩემის... საფლავის მზემა...)

სინტაქსური ევფემისტური შენაცვლებანი (მშვიდობით დაიხსნა, გარდიცვალა ფეხი სწორი გზიდან ბრუნდეს გზაზე და დაიჭირა შესაკიცხი საქმე...).

ლექსიკური ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა ენობრივი ფორმების ფუნქციური ტიპოლოგიის შექმნა.

პრაგმატიკული ანალიზი

კვლევის ერთ-ერთი მთავარი მეთოდი იყო პრაგმატიკული ანალიზი, რომლის მიზანია განსაზღვროს, რა ფუნქციას ასრულებს კონკრეტული ენობრივი ფორმა კომუნიკაციის პროცესში. პრაგმატიკული მიდგომა ეყრდნობა თანამედროვე ლინგვისტიკაში დამკვიდრებულ თავაზიანობის თეორიებს (Brown & Levinson, 1987; Leech, 2014).

პრაგმატიკული ანალიზის ფარგლებში განისაზღვრა: ვის შორის მიმდინარეობს კომუნიკაცია; როგორია მონაწილეთა სოციალური სტატუსი; რა კომუნიკაციური მიზანი აქვს კონკრეტულ გამოთქმას; როგორ გამოხატავს ენა პატივისცემას, მორიდებას ან უხერხულ გამოხატვას.

კლასიფიკაციის მეთოდი

მასალის სისტემატიზაციის მიზნით მაგალითები დაჯგუფებულია თავაზიანობის სტრატეგიების მიხედვით. შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი კატეგორია:

ზრდილობისა და თავაზიანობის გამომხატველი ზმნური ფორმები; ეტიკეტური მიმართვები; ფიცილისა და დალოცვის ფორმულები, სინტაქსური ევფემისტური შენაცვლებანი...

კლასიფიკაციის აღნიშნული მოდელი შესაძლებელს ხდის კვლევის შედეგების სისტემურ წარმოდგენას.

შედეგები. მასალის ლექსიკურმა და კონტექსტურმა ანალიზმა აჩვენა, რომ XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო ენაში ეთიკურად შეპირობებული ენობრივი ფორმების რამდენიმე ჯგუფი შეიძლება გამოიყოს:

1. **ევფემისტური ზმნები.** ქართულში თავაზიანობის გამოხატვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ზმნური ფორმები, რომლებიც გამოხატვის თავისებურების მიხედვით ორ ნაწილად უნდა დავყოთ:

ა) „თქვენ“ ნაცვალსახელი და ზმნა -თ ბოლოსართით (გრამატიკული ევფემიზმი - ზ. კიკვიძე): „(თქვენ) გარწმუნებთ ღვთის სახელით (რჩეულიშვილი, 1984: 94)“;

მაგალითში: „მე ვიცოდი, თქვენ გაიამებოდით ქვრივ-ობოლის შეწყნარება და მოგვარე“ (არდაზიანი, 1984: 138) ჩანს, რომ -თ ბოლოსართი სისტემურად არ გამოიყენება, რაც გრამატიკული ევფემიზმის მარკირების გარდამავალ ეტაპზე მიუთითებს.

ბ) ევფემისტურობის გამოხატვა ფუძემონაცვლე ზმნებით: „აბრძანდა“ („ანნასთან აბრძანდა მეფე“ (ორბელიანი, 1984: 10); „მოახსენა“ („თქვენო დიდებულება! - მოახსენა კეკემ“ (რჩეულიშვილი, 1984: 62)...

გ) ლექსიკური ზმნური ევფემიზმები: „გარდაიცვალა“, „გამოგვესალმა“: („მამიჩემი წლის თავზედ გამოგვესალმა და გარდაიცვალა ამიერ სოფლით გამოუთქმელ სიხარულით

(არდაზიანი, 1984: 131); „დაიხსნა“ („გახარებ, ბატონო! ქალბატონი მშვიდობით დაიხსნა ... ვაჟიშვილი დაგებადათ! (არდაზიანი, 1984: 153)...

2. მიმართვის ფორმები:

ტექსტებში ხშირად გვხვდება პატივისცემის გამომხატველი მიმართვები, რომლითაც დაბალი სოციალური სტატუსის მქონე პირები მოიხსენიებენ მაღალი სტატუსის მქონე პირებს.

მიმართვის ფორმა	სტატუსი
თქვენო დიდებულეზავ	მაღალი სოციალური სტატუსი
ჩემო ხელმწიფეო	სამეფო მიმართვა
ქალბატონო, კნეინავ	პატივისცემის ფორმა
ბატონიშვილო, კნიაზო	არისტოკრატიული სტატუსი

მიმართვის ფორმები ხშირ შემთხვევაში ერთვის ევფემისტურ ზმნურ ფორმებს, რაც ამლიერებს თავაზიანობის ეფექტს.

3. ფიცილის ფორმულები: მასალაში დასტურდება ფიცილის ფორმულები, რომლებიც ექსპრესიასა და სანდობის გაძლიერებას, მსმენელის დარწმუნებას ემსახურება:

„ჯანი წამვიდეს“ („ჯანი წამვიდეს, აქედან კი აღარ დავბრუნდები“ (ორბელიანი, 1984: 54); „თქვენმა მზემ“ („სხვა მიზეზი არა მქონია, თქვენმა მზემ“ (რჩეულიშვილი, 1984: 62);

ასევე, საინტერესოა ფიცილის ფორმების მაგალითები:

„ალვისსახარ, შენი კოკობის სულის მზემა, მამიჩემის ალაზგის საფლავის მზემა, ერთისთვინაც არ მითქომს მე სიყვარული“ (რჩეულიშვილი, 1984: 121)

„არც ბევრსა, დედი ჩემის მათუას ცხონებამ“ (იქვე).

„დედა შეერთოს ცოლათ, თუ არ გავიმარჯვებ, ვინც აქედან უსიკვდილოდ გავიდეს“ (ორბელიანი, 1984: 34)...

4. დალოცვის ფორმულები: „თქვენ ცოცხალი ბრძანდებოდეთ“; „ღმერთმა გადღეგრძელოს“; „ღმერთმა გაკურთხოს“... ტრადიციული ქართული ეტიკეტური მეტყველების მნიშვნელოვანი ელემენტია, გამოხატავს კეთილგანწყობასა და პატივისცემას.

5. სინტაქსური ევფემიზმი - როცა საჩოთირო ფორმები ჩანაცვლებულია ევფემისტური წინადადებით ან ფრაზით, მაგ.: „შე ასეთო, შე ისეთო“ („ეხლავ მამე ეგ თოფი, შე ასეთო, შე ისეთო (სქოლიოში ახსნილია: უწინდელს დროში დიდი გინება იყო „შე ასეთო, შე ისეთო“) (ორბელიანი, 1984: 51);“

„ხოლო როდესაც ანუკამ გარდიცვალა ფეხი სწორი გზიდან ბრუნდეს გზაზედ და დაიჭირა შესაკიცხი საქმე უდაბნოელთანა, მაშინ... მძიმეთაც ეჩვენებოდა მისი თავისთან ყოფნა“ (რჩეულიშვილი, 1984: 107-108). მოცემული სინტაქსური ევფემიზმი ამცირებს აზრის უხერხულობას და უზრუნველყოფს აზრის ეთიკური ფორმით გადმოცემას.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო ენაში ეთიკურად მოტივირებული ენობრივი ფორმები სისტემურ ხასიათს ატარებს და წარმოდგენილია ლექსიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეზე. განსაკუთრებით ხშირია ზმნური ევფემიზმები და პატივისცემის გამომხატველი მიმართვის ფორმები, რაც მიუთითებს სოციალური იერარქიის მნიშვნელოვან როლზე კომუნიკაციის პროცესში.

მსჯელობა. წარმოდგენილი მასალის ანალიზი აჩვენებს, რომ XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო ენაში ენობრივი ეთიკა დაკავშირებულია საზოგადოებაში არსებულ

სოციალურ ურთიერთობებთან და კულტურულ ღირებულებებთან. გამოვლენილი ენობრივი ფორმები - ევფემისტური ზმნები, მიმართვის ფორმები, ფიცილისა და დალოცვის ფორმულები, აგრეთვე სინტაქსური ევფემიზმები - ადასტურებს, რომ თავაზიანობა წარმოადგენს არა მხოლოდ მეტყველების სტილისტიკურ მახასიათებელს, არამედ კომუნიკაციის ეთიკური რეგულირების მნიშვნელოვან პრინციპს. ენობრივი ქცევა ამ ტექსტებში აშკარად რეგულირდება სოციალური იერარქიისა და კულტურული ტრადიციის მიერ, რაც ენისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების ერთ-ერთ არსებით გამოვლენებად უნდა ჩაითვალოს.

ევფემისტური ზმნების სიხშირე ცხადყოფს, რომ ენობრივი ეთიკა ლექსიკური და გრამატიკული საშუალებებით ვლინდება. ზმნები „აბრძანდა“, „მოახსენეს“, „გახლავართ“, „მობრძანდით“ მხოლოდ მოქმედებას არ გადმოსცემს, არამედ მეტყველებაში აფიქსირებს სოციალურ დისტანციას და ადრესატის სტატუსს. ამგვარი ფორმები ადასტურებს ზ. კიკვიძის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც თავაზიანობის გამოხატვა ქართულში ხორციელდება როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული საშუალებებით (კიკვიძე, 1999). განსაკუთრებით საყურადღებოა „თქვენ + -თ“ მოდელი, რომელიც ერთდროულად გამოხატავს პატივისცემასა და კომუნიკაციურ დისტანციას. აღნიშნული ფორმების არასისტემური გამოყენება მიანიშნებს, რომ XIX საუკუნეში თავაზიანობის გრამატიკული მარკირების სისტემა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია.

მიმართვის ფორმების ანალიზი კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს ენობრივი ეტიკეტის სოციალურ ბუნებას. ფორმულები „თქვენო დიდებულება“, „ჩემო ხელმწიფეო“, „კნენავ“, „ბატონიშვილო“ ასახავს არა მხოლოდ ადრესატის მიმართ პატივისცემას, არამედ კომუნიკაციის მონაწილეთა იერარქიულ დამოკიდებულებას. მსგავსი ფორმები ფუნქციონირებს როგორც სოციალური სტატუსის ენობრივი ინდიკატორი და აჩვენებს, რომ ენობრივი ეტიკეტი მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების სტრუქტურასთან. ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების კვლევისას აღნიშნულია, რომ ენობრივი ქცევა კულტურული ტრადიციის ნაწილია და მასში აისახება საზოგადოებაში დამკვიდრებული ღირებულებები (ჯორბენაძე, 1997). შესაბამისად, მიმართვის ფორმები შეიძლება განვიხილოთ როგორც კულტურულად რეგულირებული კომუნიკაციური სტრატეგიები, რომლებიც ამყარებს სოციალურ წესრიგს.

ფიცილისა და დალოცვის ფორმულები ავლენს ენობრივი ეთიკის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს - ემოციურ და ღირებულებით განზომილებას. ფორმულები „თქვენმა მზემ“, „შენი სულისა“, „ღმერთმა გადღეგრძელოს“, „თქვენ ცოცხალი ბრძანდებოდეთ“ მეტყველებაში გამოხატავს არა მხოლოდ პატივისცემას, არამედ კეთილგანწყობას, თანაგრძნობასა და სოლიდარობას. ფატიკური კომუნიკაციის ეს ერთეულები - მისალმება, ფიცი, დალოცვა, მადლობა - მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენობრივი ეტიკეტის ფორმირებაში და ასახავს საზოგადოების კულტურულ განვითარებას. ამდენად, აღნიშნული ფორმულები შეიძლება ჩაითვალოს ეთიკური კომუნიკაციის ინსტრუმენტად, რომელიც ასევე უზრუნველყოფს ურთიერთობის ჰარმონიას.

სინტაქსური ევფემიზმების არსებობა ადასტურებს, რომ ენობრივი ეთიკა ლექსიკური ერთეულების ფარგლებს სცდება და მთელ გამონათქვამს ან წინადადებას მოიცავს. ისეთი ფორმები, როგორიცაა „შე ასეთო, შე ისეთო“ ან აღწერითი კონსტრუქციები, რომლებიც ფარავს პირდაპირ შეფასებას, მიუთითებს ტაბუირებული ან სოციალურად მიუღებელი შინაარსის შერბილებისკენ მისწრაფებაზე. ბ. ჯორბენაძე ევფემიზმისა და ტაბუს ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ენობრივი ეთიკეტი ხშირად ყალიბდება სწორედ იმ შემთხვევებში, როდესაც საზოგადოება ცდილობს უხერხული ან მიუღებელი მნიშვნელობის შერბილებას (ჯორბენაძე, 1997). ამ თვალსაზრისით სინტაქსური ევფემიზმები ასრულებს კომუნიკაციის ეთიკური რეგულირების ფუნქციას.

კვლევის შედეგები შეესაბამება თანამედროვე პრაგმატიკის ერთ-ერთ ძირითად დებულებას, რომლის მიხედვითაც თავაზიანობა წარმოადგენს კომუნიკაციური ბალანსის დაცვის მექანიზმს. ბრაუნისა და ლევინსონის თეორიის თანახმად, კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვანია თანამოსაუბრის „სახის“ დაცვა, რაც გულისხმობს პიროვნების სოციალური ღირსების შენარჩუნებას (ბრაუნი და ლევინსონი, 1987). ლიჩის მიხედვით კი თავაზიანობის პრინციპი ემსახურება კომუნიკაციის პროცესში სოციალური ჰარმონიის შენარჩუნებას (ლიჩი, 2014). აღნიშნული თეორიული მიდგომები საშუალებას გვაძლევს XIX საუკუნის ქართული ტექსტები განვიხილოთ არა მხოლოდ ისტორიულ-ლიტერატურული, არამედ პრაგმატიკული თვალსაზრისითაც.

მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო ენაში თავაზიანობის სტრატეგიები მრავალდონიან სისტემას ქმნის და მოიცავს როგორც გრამატიკულ, ისე ლექსიკურ და სინტაქსურ საშუალებებს. ენობრივი ფორმები ასახავს სოციალური ურთიერთობის იერარქიულ მოდელს, კულტურულ ღირებულებებსა და ეთიკურ ნორმებს. შესაბამისად, ენობრივი ეტიკეტი უნდა განვიხილოთ როგორც კულტურულად განსაზღვრული კომუნიკაციური პრაქტიკა, რომელიც ნათლად ავლენს საზოგადოების სოციალური წყობის თავისებურებებს.

წარმოდგენილი მასალა აჩვენებს, რომ ენობრივი ეთიკის კვლევა მნიშვნელოვანია ქართული ენის ისტორიული პრაგმატიკისათვის, რადგან იგი ავლენს, თუ როგორ ყალიბდება ენობრივი ნორმები კულტურულ და სოციალურ კონტექსტში. მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ თავაზიანობის სტრატეგიები არა მხოლოდ კომუნიკაციის ფორმალური ელემენტია, არამედ საზოგადოების კულტურული იდენტობის ერთ-ერთი გამოხატულებაც.

დასკვნა. კვლევამ აჩვენა, რომ XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო ენაში ენობრივი ეთიკით შეპირობებული ფორმები სისტემურ ხასიათს ატარებს და მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოების სოციალურ და კულტურულ მახასიათებლებთან. ანალიზმა გამოავლინა, რომ თავაზიანობის სტრატეგიები რეალიზდება სხვადასხვა ლინგვისტურ (ლექსიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ) დონეზე, რაც ადასტურებს ენობრივი ეტიკეტის გამომხატველი საშუალებების მრავალფეროვნებას.

გამოვლენილი ენობრივი ერთეულები – ევფემისტური ზმნები, მიმართვის ფორმები, ფიცილისა და დალოცვის ფორმულები, აგრეთვე სინტაქსური ევფემიზმები – ცხადყოფს, რომ კომუნიკაციური ქცევა აღნიშნულ ეპოქაში მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული სოციალურ იერარქიასა და კულტურულ ტრადიციებზე. განსაკუთრებით თვალსაჩინოა პატივისცემის გამომხატველი ზმნური ფორმების სიხშირე, რაც მიუთითებს ადრესატის სტატუსის მნიშვნელობაზე კომუნიკაციის პროცესში.

კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ ენობრივი ეტიკეტი ქართულში წარმოადგენს კულტურულად ჩამოყალიბებულ კომუნიკაციურ მოდელს, რომელიც ასახავს საზოგადოების ეთიკურ ნორმებსა და ღირებულებებს. თავაზიანობის სტრატეგიები არა მხოლოდ ურთიერთობის რეგულირების საშუალებაა, არამედ კულტურული იდენტობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტიც.

მიღებული შედეგები თანხვედბა თავაზიანობის თანამედროვე თეორიებს, რომელთა მიხედვითაც კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სოციალური ჰარმონიის შენარჩუნებასა და თანამოსაუბრის სტატუსის გათვალისწინებას (ბრაუნი და ლევინსონი, 1987; ლიჩი, 2014). ამდენად, XIX საუკუნის ქართული ტექსტები გვაძლევს საშუალებას დავაკვირდეთ თავაზიანობის სტრატეგიათა ისტორიულ ფორმირებას და დავინახოთ, როგორ აისახება კულტურული და სოციალური ღირებულებები ენობრივ პრაქტიკაში.

კვლევა მნიშვნელოვანია ქართული ენის ისტორიული პრაგმატიკის თვალსაზრისით, რადგან წარმოაჩენს ენობრივი ეთიკის ფორმირების პროცესს და ქმნის საფუძველს

თავაზიანობის სტრატეგიათა შემდგომი კვლევისათვის როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე ქართულში.

გამოყენებული ლიტერატურა

- არდაზიანი, ლ. (1984). მოთხრობები. *ქართული პროზა*. ტ. VII. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- ზექალაშვილი, რ. (2012). *ქართული დიალოგური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები)*. თბილისი: უნივერსალი.
- კიკვიძე, ზ. (1999). თავაზიანობის გამოხატვის ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებები ქართულში. თბილისი.
- ნინიძე, თ. (2021). *ევემიზმის ლინგვისტური მახასიათებლები და ფუნქციები ქართულში (V–XVIII საუკუნეთა წერილობითი ძეგლების მიხედვით)*. ქუთაისი.
- ორბელიანი, ა. (1984). უმანკო სისხლი. *ქართული პროზა*. ტ. VII. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- რჩეულიშვილი, გ. (1984). მოთხრობები. *ქართული პროზა*. ტ. VII. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- ჯორბენაძე, ბ. (1997). *ენა და კულტურა*. თბილისი.
- Brown, P., & Levinson, S. (1987). *Politeness: Some Universals in Language Usage*. Cambridge: Cambridge University Press.
- Leech, G. (2014). *The Pragmatics of Politeness*. Oxford: Oxford University Press.

REFERENCES

- ardaziani, l. (1984). motkhrobedi [Stories]. *kartuli p'roza [Georgian prose]*. Vol. VII. Tbilisi: Sabchota Sakartvelo.
- zekalashvili, r. (2012). *kartuli dialoguri met'qveleba (dziritadi lingvist'uri da ekst'ralingvist'uri makhasiateblebi) [Georgian Dialogic Speech: Main Linguistic and Extralinguistic Features]*. Tbilisi: Universali.
- k'ik'vidze, z. (1999). *tavazianobis gamokhat'vis leksik'ur-gramat'ik'uli sashualebebi kartulshi [Lexical and grammatical means of expressing politeness in Georgian]*. Tbilisi.
- ninidze, t. (2021). *evpemizmis lingvist'uri makhasiateblebi da punktSiebi kartulshi (V–XVIII sauk'uneta ts'erilobiti dzeglebis mikhedvit) [Linguistic characteristics and functions of euphemism in Georgian (according to written monuments of the 5th–18th centuries)]*. Kutaisi.
- orbekiani, a. (1984). umank'o siskhli [Innocent Blood]. *kartuli p'roza [Georgian prose]*. Vol. VII. Tbilisi: Sabchota Sakartvelo.
- rcheulishvili, g. (1984). motkhrobedi [Stories]. *kartuli p'roza [Georgian prose]*. Vol. VII. Tbilisi: Sabchota Sakartvelo.
- jorbenadze, b. (1997). *ena da k'ult'ura [Language and Culture]*. Tbilisi.
- Brown, P., & Levinson, S. (1987). *Politeness: Some Universals in Language Usage*. Cambridge: Cambridge University Press. Leech, G. (2014). *The Pragmatics of Politeness*. Oxford: Oxford University Press.